ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
სხდომის ოქმი №3

ლანჩხუთი **20.04.2022 წელი**
12.00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – **გიორგი ხელაძე.**

სხდომას ესწრებოდნენ: ია მოქია, კარლო წილოსანი, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, მაკა მშვიდობაძე.

არ ესწრებოდა: საპატიო მიზეზით - კახაბერ ასკურავა.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ეკატერინე გუჯაბიძე; მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი ია ჩხაიძე; მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა; მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი თამაზ იმედაიშვილი და მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ეკატერინე გუჯაბიძე/

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; ია ჩხაიძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის

დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებლები: გიორგი ხელაძე; შოთა ჩაგუნავა/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; თამაზ იმედაიშვილი/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე; გიორგი ნაჭყებია/

6. „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

/მომხსენებელი: გიორგი ხელაძე/

9. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერის პირველმა მოადგილემ ეკატერინე გუჯაბიძემ, მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის საკითხზე მიმდინარეობს მუშაობა და დასრულდება მაისის ბოლოს. როდესაც კომისიები განიხილავენ მზად არიან მიიღონ შენიშვნები არსებობის შემთხვევაში.
კარლო წილოსანი დაინტერესდა რომელი სამსახურები ერთიანდება, ეკატერინე გუჯაბიძემ განმარტა, რომ ერთიანდებიან იურიდიული და ადმინისტრაციული, ასევე საფინანსო და შესყიდვების სამსახურები. მისი თქმით უფრო ეფექტური იქნება მუშაობა აღნიშნული სამსახურების შეერთებით.
დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ არ გაამართლა შეფასების სისტემამ, რასაც ეთანხმებიან კომისიის წევრებიც, თუმცა ცვლილებები არ მოხდება შეფასების მიხედვით.
რეორგანიზაციის საკითხი დასასრულებელია კიდევ რამდენიმე ა(ა)იპ-ში.
ნინო მშვიდობაძემ თხოვნით მიმართა მერის მოადგილეს, თუ შესაძლებელი იქნება რომ მოხდეს სამუშაო ჯგუფის სახით ჩართვა ა(ა) იპ-ების რეორგანიზაციის საკითხში.

სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 5; თავი შეიკავა 1.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: წარმოდგენილი საკითხი კომისიამ მიიღო შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა ია ჩხაიძემ. მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ დადგენილებაში ცვლილება განპირობებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, სადაც აღნიშნულია, რომ მიმდინარე წლის 21 თებერვალს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებით შეიცვალა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიერ განსახორციელებელი პროგრამების დასახელებები. შესამაბამისად პროგრამების განმახორციელებელი სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის თანხვედრაში მოვიდეს ცვლილების პროექტით გათვალისწინებული წესი, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:
ა) დადგენილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის-განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ.“

ბ) დადგენილების 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 1.
დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი, დანართის შესაბამისად.“
გ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესი“.
დ) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ 1-ლი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 1.
ზოგადი დებულებები ეს წესი არეგულირებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრულ – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ხელშეწყობის; სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან – განათლების, კულტურის და სპორტის სფეროში მოღვაწე წარმატებული ადამიანების დაჯილდოების, ინტელექტუალურ-შემეცნებითი, კულტურული და ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების მიზნით, თანხის გაცემის წესს.“
ე) დადგენილების 1-ლი მუხლით დამტკიცებული დანართის ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის“ მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
,,მუხლი 6.
გამარჯვებული გუნდის ან/და ინდივიდუალური მონაწილის დაჯილდოება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ორგანიზებული – საგანამანთლებლო, კულტურული, სპორტული და ახალგაზდული ღონისძიებების მონაწილე გამარჯვებული გუნდისა და ინდივიდუალური მონაწილის ფულადი ჯილდოს ოდენობა განისაზღვროს შემდეგი სახით:
ა) გუნდი: I ადგილი - 500 ლარი; II ადგილი - 300 ლარი; III ადგილი - 200 ლარი;
ბ) ინდივიდუალური მონაწილე: I ადგილი- 300 ლარი; II ადგილი - 200 ლარი; III ადგილი - 100 ლარი.“
სხდომის თავმჯდომარემ, კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიის მიერ მიღებული იქნა აღნიშნული საკითხი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა შოთა ჩაგუნავამ. მან განმარტა, რომ ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის გამოყენება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შემდეგი წესის საფუძველზე:

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმა, ფორმებით მომარაგება, გაცემა და დაბრუნება:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს აქვს ინდივიდუალური ნომერი და წარმოადგენს მკაცრი აღრიცხვის ფორმას.

2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების, ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმას „მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად რეგისტრაციისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი/სათანადოდ უფლებამოსილი პირი წარუდგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს განცხადების (წერილის) საფუძველზე, რომელიც უნდა შეიცავდეს: ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლში მითითებულ მოთხოვნებს; ბ) ინფორმაციას მკაცრი აღრიცხვის ფორმის სახელწოდებისა და მიზნობრივი დანიშნულების შესახებ; გ) რეგისტრაციისათვის წარმოდგენილი მკაცრი აღრიცხვის ფორმის ნიმუში გაყალბებისაგან დამცავი ყველა ნიშნის აღნიშვნით; დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დასკვნას მკაცრი აღრიცხვის ფორმების ნიმუშის (პროექტების) შეთანხმების თაობაზე, შესაბამის ნიმუშთან (პროექტთან) ერთად; ე) მკაცრი აღრიცხვის ფორმაზე აღნიშნული უნდა იყოს ფორმის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინიციალები ,,სემგს რეგისტრაციის №”.

4. მკაცრი აღრიცხვის ფორმები (ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები) ინახება სპეციალურად გამოყოფილ და სათანადოდ დაცულ ადგილას.

5. სათანადო წესით უფლებამოსილი პირის მიერ ოქმების გაცემა, დაბრუნება და გაუქმება აღირიცხება შესაბამის ჟურნალში.

მუხლი 3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შევსება და საქმის წარმოება:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმს სათანადოდ უფლებამოსილი პირი ადგენს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული, თვითმმართველობის უფლებამოსილებას მიკუთვნებული სამართალდარღვევის ფაქტების გამოვლენისას.

2. ოქმი დგება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან: ა) ერთი – საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობებთან ერთად დაუყოვნებლივ ეგზავნება განხილვაზე უფლებამოსილ პირს (ორგანოს) და ერთვის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს; ბ) მეორე – ჰბარდება სამართალდამრღვევს შესაბამისი ხელის მოწერით ოქმის ეგზემპლარის ჩაბარების შესახებ, ხოლო სამართალდამრღვევი ესწრება ოქმის შედგენას; გ) მესამე – რჩება ოქმის შემდგენელთან.

3. ოქმი ივსება მუქი ფერის ბურთულიანი კალმით. ოქმში ყველა ჩანაწერი კეთდება გარკვევით, დაუშვებელია გადახაზვა, გადაფხეკა, გადაშლა და ა.შ. ოქმის დაზიანების ან მასში არასწორი მონაცემების შეტანის შემთხვევაში ივსება ახალი ოქმი, ძველი გადაიხაზება ჯვარედინად, რომელსაც ოქმის შემვსები, მოხსენებითი ბარათით, გაუქმების მიზეზების მითითებით, აბარებს ოქმის გამცემს (აღრიცხვა-ანგარიშგებაზე პასუხისმგებელ პირს).

4. ოქმის შედგენისას დამრღვევს უნდა განემარტოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლით გათვალისწინებული მისი უფლება-მოვალეობანი, რაც აღინიშნება ოქმში.

5. ადმინისტრაციული სამართალდრღვევის ოქმში აღინიშნება: ა) ოქმის შედგენის ადგილი და თარიღი; ბ) ოქმის შემდგენის თანამდებობა, სახელი და გვარი; გ) მონაცემები სამართალდამრღვევის შესახებ – სახელი, გვარი, მისამართი, პირადი ნომერი (იურიდიული პირის შემთხვევაში მისი დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი) და სხვა პირადი მონაცემები (ასეთის არსებობის შემთხვევაში); დ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო და არსი, ნორმატიული აქტის დასახელება, რომელიც იქნა დარღვეული; ე) ნორმატიული აქტი (ნორმაზე მითითებით), რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ამ სამართალდარღვევისათვის; ვ) მოწმეთა ან/და დაზარალებულთა სახელები, გვარები და მისამართები, თუ ასეთები არიან; ზ) სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტება; თ) საქმის გადასაწყვეტად საჭირო სხვა ცნობები.

6. ოქმს ხელს აწერენ მისი შემდგენი და სამართალდამრღვევი. თუ არიან მოწმეები და დაზარალებულები, ოქმს ხელი შეიძლება მოაწერონ ამ პირებმაც.

7. იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი უარს იტყვის ოქმის ხელმოწერაზე, ოქმის შემდგენის მიერ ოქმის შენიშვნის გრაფაში კეთდება სათანადო ჩანაწერი.

8. სამართალდამრღვევს უფლება აქვს წარმოადგინოს ოქმზე დასართავი ახსნა-განმარტებები და შენიშვნები ოქმის შინაარსის გამო, აგრეთვე ჩამოაყალიბოს ხელმოწერაზე უარის თქმის მოტივები.

9. ოქმი, მისი შედგენიდან დაუყოვნებლივ, ეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე.

10. ოქმის შემდგენი და საქმის განმხილველი ორგანო ვალდებული არიან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 270-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენიდან ან/და დადგენილების გამოტანიდან 10 დღის ვადაში აცნობონ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ქვედანაყოფს (ერთიან საინფორმაციო ბანკს).

მუხლი 4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა რეგისტრაცია:

1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის რეგისტრაციის საფუძველს წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის მონაცემები შეიტანება „ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ გამოტანილი დადგენილების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №4) (შემდგომში – რეგისტრაციის ჟურნალი) შესაბამისი გრაფების შევსებისა და საქმის რეგისტრაციის ნომრის დაფიქსირების გზით.

2. რეგისტრაციის ჟურნალი იწარმოება სამსახურში, ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი პასუხისმგებელი პირის მიერ.

3. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები ექვემდებარება აუცილებელ რეგისტრაციას რეგისტრაციის ჟურნალში მათი შედგენიდან (გამოტანიდან) სამი სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 5. რეგისტრაციის ჟურნალის შევსების წესი:

1. რეგისტრაციის ჟურნალის პირველ და მეორე გრაფაში შეიტანება საქმის რიგითი ნომერი და რეგისტრაციის თარიღი.

2. მე-3-მე-10 გრაფებში მიეთითება მონაცემები სამართალდარღვევის ჩამდენი პირის შესახებ: ფიზიკური პირის შემთხვევაში – გვარი, სახელი, მისამართი, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი, მისამართი, უფლებამოსილი წარმომადგენლის გვარი, სახელი, თანამდებობა, საქართველოს მოქალაქის პირადი ნომერი, ხოლო უცხო ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში – პასპორტის ნომერი და მოქალაქეობა.

3. მე-11-მე-14 გრაფებში მიეთითება მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის თაობაზე.

4. მე-15-21-ე გრაფებში მიეთითება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე.

5. 22-ე გრაფაში მიეთითება მონაცემები გადახდილი ჯარიმის თაობაზე.

6. 23-ე გრაფაში მიეთითება ინფორმაცია დანაშაულის ნიშნების არსებობის თაობაზე.

7. თუ ოქმი იგზავნება სასამართლოში განსახილველად, 24-ე გრაფაში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა, ხოლო მე-15-23-ე გრაფები არ ივსება.

მუხლი 6. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა:

1. ოქმის ფორმების ჩამოწერა შეიძლება: ა) ოქმის შედგენის დროს დაშვებული შეცდომის გამო; ბ) ოქმის ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო;

2. გამოსაყენებლად უვარგისი ოქმის ფორმების ჩამოწერა უნდა მოხდეს „გამოსაყენებლად უვარგისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების ჩამოწერის შესახებ აქტის (დანართი 5) (შემდგომში – ჩამოწერის აქტი) შედგენით, რომელშიც აუცილებლად უნდა მიეთითოს გამოსაყენებლად უვარგისი (ჩამოწერილი) ოქმის ფორმების ინდივიდუალური ნუმერაცია.

3. ჩამოწერილი ოქმის ფორმების უტილიზაცია ხორციელდება „მკაცრი აღრიცხვის ფორმების ექსპერტიზა-უტილიზაციის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს №1-1/344 ბრძანების შესაბამისად.

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმისწარმოებაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეული და გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი თანამდებობის პირი:

1. სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერია, როგორც სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანო, ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მეშვეობით, რომელიც საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსით" დადგენილი წესის შესაბამისად, ადგენს სამშენებლო სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისთვის გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებს (მითითება, შემოწმების აქტი, უწყება და დადგენილება).

2. სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების დროს, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახური ხელმძღვანელობს საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის" XIV და XV თავებით დადგენილი წესის შესაბამისად.

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ სამშენებლო სამართალდარღვევასთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისას საქმის ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლის საფუძველზე მომზადებული დოკუმენტაციის შესაბამისად, საქართველოს კანონით „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი" დადგენილი წესით და ფარგლებში, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს.

სხდომის თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა აღნიშნული საკითხი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ ისაუბრა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა თამაზ იმედაიშვილმა. მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 15 თებერვლის N277 განკარგულებით რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 748000 ლარი, რომელიც ბიუჯეტში უნდა აისახოს, როგორც შემოსავლის, ასევე ხარჯვით ნაწილში.

ა(ა)იპ ეკონომიკური განვითარებისა და ინოვაციის ცენტრის დაფინანსება შემცირდეს (სუბსიდირების მუხლი, რომელიც მიზნობრივად გამოეყო მეწარმეების განვითარებისათვის) 100000 ლარით და მიიმართოს მუნიციპალიტეტში (ორგ.კოდი 02 11) მეწარმეობის განვითარების

პროგრამის განხორციელებაზე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის „კეთილმოწყობისა და მომსახურების“ ცენტრის მომსახურების არეალის გაზრდისა და შესაბამისი სპეცტექნიკის (6 ერთეული) ექსპლოატაციის ჩართვიდან გამომდინარე მიმდინარე წლის დაფინანსება უნდა გაიზარდოს დამატებით 200000 ლარით, მათ შორის: შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე მიიმართება 90000 ლარი, ტრანსპორტის შენახვისა და ექსპლოატაციის ხარჯებზე 110000 ლარი. ამასთან, დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში ორგანიზაციის წინადადებით უნდა შემცირდეს ოფისის მუხლი 2000 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 4000 ლარით. აღნიშნულის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 6000 ლარით.

ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების სისტემის მუშაკთა შრომის ანაზრაურების მოწესრიგების მიზნით დაფინანსება გაიზარდოს 78000 ლარით, მათ შორის 74445 ლარი მიიმართოს შრომის ანაზღაურების მუხლში, 3555 ლარი შტატგარეშე მუშაკთა ანაზღაურებაზე. ა(ა)იპ სპორტული ცენტრის მიმდინარე წლის 14 აპრილის N19 წერილის საფუძველზე შემცირდეს შრომის ანაზღაურების მუხლი 29000 ლარით, შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 25000 ლარით და არაფინანსური აქტივების მუხლი 4000 ლარით.

განხილული იქნა შპს ფეხბურთის კლუბ „ლანჩხუთის გურია“-ს მიმდინარე წლის 7 მარტის N01-070322 წერილი 250000 ლარის გამოყოფის თაობაზე. განხილვის შედეგად მიზანშეწონილად ჩაითვალა 200000 ლარის გამოყოფა მიზნობრიობის განსაზღვრით. დამატებით 478000 ლარის ოდენობით აღებული ვალდებულებების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით გაიზარდოს არაფინანსური აქტივების (გაყიდვით) აქტივების კლებიდან მიღებული შემოსავლის გეგმა 300000 ლარით, ხოლო 178000 ლარის დაფინანსება განხორციელდეს ბიუჯეტის თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: აღნიშნული საკითხი მიღებულ იქნა კომისიის მიერ.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის თაობაზე ისაუბრა მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა გიორგი ნაჭყებიამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება, (მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ამორტიზირებული ორთქლის ქვაბი ჯართის სახით), რომელიც შეფასებულია, შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხასა და გეგმაში.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა და გეგმა წარმოადგინა შემდეგი სახით:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა ნუსხა

1. ლანჩხუთი, მარჯანიშვილის ქ. N11ა - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.56.130, მიწის ფართობი (კვ.მ) 866.
2. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.259, მიწის ფართობი (კვ.მ) 10 235.

3. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.258, მიწის ფართობი (კვ.მ) 10 244.
4. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.257, მიწის ფართობი (კვ.მ) 10 084.
5. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.256, საწყისი ღირებულება (ლარებში) 128 067 .
6. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.260, მიწის ფართობი (კვ.მ) 10 038.
7. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარე - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.51.333, მიწის ფართობი (კვ.მ) 186.
8. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.41.366, მიწის ფართობი (კვ.მ) 3 422.
9. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.41.367, მიწის ფართობი (კვ.მ) 1 070.
10. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, ნინოშვილის ქ. N9 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.06.52.438, მიწის ფართობი (კვ.მ) 576, შენობის ფართი 146.
11. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, თამარ მეფის მე-2 შესახვევი - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.53.289, მიწის ფართობი (კვ.მ) 50.
12. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.42.154, მიწის ფართობი (კვ.მ) 1 586.
13. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.42.155, მიწის ფართობი (კვ.მ) 364.
14. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.02.41.163, მიწის ფართობი (კვ.მ) 1 240, შენობის ფართი 802,60.
15. სუფსის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.15.52.037, მიწის ფართობი (კვ.მ) 101.
16. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N301, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.301, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 42,1.
17. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართულ9 ოთახი N302, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.302, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 42,7.
18. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N303, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.303, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,06.
19. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N304, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.304, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,06.
20. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N305, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.305, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,06.
21. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N306, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.306, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,06.

22. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N307, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.307, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 44.
23. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N308, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.308, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 41,6.
24. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N309, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.309, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 42.
25. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N310, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.310, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 23,8.
26. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N311, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.311, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,5.
27. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N312, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.312, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,5.
28. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N313, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.313, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,5.
29. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N314, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.314, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 20,5.
30. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N315, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.315, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 40,9.
31. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N316, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.316, მიწის ფართობი (კვმ) 1501 თანასაკუთრება, შენობის ფართი (კვმ) 43,9.
32. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.02.41.004, მიწის ფართობი (კვმ) 865, შენობის ფართი (კვმ) 394.
33. ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ხანძრისგან დამწვარი), საკადასტრო კოდი 27.09.50.282, მიწის ფართობი (კვმ) 2792, შენობის ფართი (კვმ) 471,10.
34. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.261, მიწის ფართობი (კვმ) 1812.
35. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.411, მიწის ფართობი (კვმ) 100.
36. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.420, მიწის ფართობი (კვმ) 100.
37. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.433, მიწის ფართობი (კვმ) 136.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა

1. მწვანე ავტობუსი MAO 711 PAZ 4234-00, გამოშვების წელი 2007.
2. მწვანე ავტობუსი MAO 712 PAZ 4234-00, გამოშვების წელი 2007.

3. ამორტიზირებული ორთქლის ქვაბი ჯართის სახით, სავარაუდო წონა 2500 კგ.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საპრივატიზებო ობიექტთა გეგმა

1. ლანჩხუთი, მარჯანიშვილის ქ. N11ა - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.56.130, საწყისი ღირებულება (ლარებში) 12990.
2. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.259, საწყისი ღირებულება (ლარებში) 138 173.
3. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.258, საწყისი ღირებულება (ლარებში), 130 099.
4. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.257, საწყისი ღირებულება (ლარებში), 135 581.
5. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.256, საწყისი ღირებულება (ლარებში) 128 067 .
6. ლანჩხუთი, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.260, საწყისი ღირებულება (ლარებში) 127 483.
7. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარე - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.51.333, საწყისი ღირებულება (ლარებში) 9300.
8. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.41.366, საწყისი ღირებულება (ლარებში) 34 200.
9. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.41.367, საწყისი ღირებულება (ლარებში)12 800.
10. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, ნინოშვილის ქ. N9 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.06.52.438, საწყისი ღირებულება (ლარებში)39 756.
11. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, თამარ მეფის მე-2 შესახვევი - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.53.289, საწყისი ღირებულება (ლარებში) 2000.
12. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.42.154, საწყისი ღირებულება (ლარებში) 13 560.
13. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.02.42.155, საწყისი ღირებულება (ლარებში) 3 294.
14. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.02.41.163, საწყისი ღირებულება (ლარებში) 91 482.
15. სუფსის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.15.52.037, საწყისი ღირებულება (ლარებში) 1 400.
16. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N301, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.301, საწყისი ღირებულება (ლარებში) 18 103.
17. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართულ9 ოთახი N302, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.302, საწყისი ღირებულება (ლარებში) 18 361.
18. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N303, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.303, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 858.
19. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N304, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.304, 8 858.
20. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N305, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.305, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 858.
21. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N306, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.306, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 858.

22. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N307, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.307, საწყისი ღირებულება (ლარებში) 18 920.
23. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N308, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.308, საწყისი ღირებულება (ლარებში) 17 888.
24. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N309, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.309, საწყისი ღირებულება (ლარებში) 148 060.
25. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N310, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.310, საწყისი ღირებულება (ლარებში) 10 234.
26. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N311, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.311, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 815.
27. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N312, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.312, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 815.
28. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N313, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.313, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 815.
29. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N314, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.314, საწყისი ღირებულება (ლარებში) 8 815.
30. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N315, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.315, საწყისი ღირებულება (ლარებში) 17 587.
31. ლანჩხუთი, ჟორდანიას ქ. N126 - ყოფილი სასტუმროს მეოთხე სართული ოთახი N316, საკადასტრო კოდი 27.06.51.005.01.316, საწყისი ღირებულება (ლარებში) 18 877.
32. აცანის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, საკადასტრო კოდი 27.02.41.004, საწყისი ღირებულება (ლარებში) 27 528.
33. ჩიბათის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა (ხანძრისგან დამწვარი), საკადასტრო კოდი 27.09.50.282, საწყისი ღირებულება (ლარებში) 97 893.
34. ქ. ლანჩხუთის ადმინისტრაციული ერთეული, ს. მგელაძის ქ. N16 - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.06.48.261, საწყისი ღირებულება (ლარებში) 26 636.
35. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.411, საწყისი ღირებულება (ლარებში) 2 400.
36. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.420, საწყისი ღირებულება (ლარებში) 2 400.
37. ლესის ადმინისტრაციული ერთეული - არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საკადასტრო კოდი 27.10.46.433, საწყისი ღირებულება (ლარებში) 3 264.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების გეგმა

1. მწვანე ავტობუსი MAO 711 PAZ 4234-00, გამოშვების წელი 2007, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2500 ლარი.
2. მწვანე ავტობუსი MAO 712 PAZ 4234-00, გამოშვების წელი 2007, საწყისი საპრივატიზებო საფასური 2500 ლარი.
3. ამორტიზირებული ორთქლის ქვაბი ჯართის სახით, სავარაუდო წონა 2500 კგ.
საწყისი საპრივატიზებო საფასური - 1 კგ-ს სავარაუდო ღირებულება 0,75 ლარი.
კომისიის წევრმა ია მოქიამ აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში ცუდი მდგომარეობაა, ბევრი დაზიანებული შენობაა.
კარლო წილოსანის თქმით უმჯობესია ვიცოდეთ რომელი შენობა ვის საკუთრებაშია.
დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთში, ყოფილი კინოს შენობა დიდი ხანია გაყიდულია, თუმცა არ გაკეთებულა და საჭიროა ყურადღება მიექცეს ასეთ შემთხვევებსაც.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა აღნიშნული საკითხი.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან განმარტა, რომ სსიპ ქალაქ ლაჩხუთის N3 საჯარო სკოლაში შემოვიდა ქალაქ ლანჩხუთის აგარაკის უბნის მაცხოვრებელთა ერთობლივი განცხადება. სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისათვის - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ეროვნული გმირის ვაჟა თამაზის ძე თოდუას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით. სკოლაში ჩატარდა პედაგოგიური საბჭოს და სამეურვეო საბჭოს სხდომა, სადაც დაფიქსირდა სკოლისა მოსახლეობის პოზიცია. გადაწყდა, რომ სსიპ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლას მიენიჭოს ვაჟა თოდუას სახელი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: სსიპ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლას მიენიჭოს ვაჟა თოდუას სახელი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან თხოვნით მიმართა კომისიის წევრებს რომ გაეცნონ დებულებას და შენიშვნების არსებობის შემთხვევაში წარუდგინონ კომისიას.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ, ისაუბრა კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ, მან აღნიშნა, რომ რეგლამენტის მიღებისას გაიპარა ტექნიკური შეცდომა, რისი გამოსწორებაც უნდა მოხდეს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი ეყარა დადგენილების პროექტს.

შომხრე 6; წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: კომისიის წევრები მხარს უჭერენ აღნიშნულ საკითხს.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის
კომისიის თავმჯდომარე: გიორგი ხელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის

დასკვნა №3

ლანჩხუთი **20. 04. 2022 წელი**

2022 წლის 20 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

2. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

6. „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვის შესახებ.

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის №38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე და გადაეცემა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეორე საკითხი. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის – განათლების ხელშეწყობის; კულტურის ღონისძიებების; სპორტული ღონისძიებების და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე და გადაეცა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისიამ მხარი დაუჭირა და გადაეცა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 ნოემბრის N26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტს კომისიამ მხარი დაუჭირა და გადაეცა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე და გადაეცა საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „სსიპ ქალაქ ლანჩხუთის N3 საჯარო სკოლისთვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი, ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენოსანი ვაჟა თოდუას სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი განხილვის შესახებ.

წარმოდგენილ განკარგულების პროექტს გაეცნობა კომისიის წევრები და წარმოადგენენ შესაბამისს შენიშვნებს; წინადადებებს.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №15

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

წარმოდგენილი დადგენილების პროექტი გადაეცეს საკრებულოს 2022 წლის 28 აპრილის სხდომას განსახილველად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: გიორგი სელაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

20.04.2022 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	გიორგი ხელაძე	11:55	
2	ია მოქია	12:00	
3	კახაბერ ასკურავა	—	
4	მაკა მშვიდობაძე	12:00	
5	კარლო წილოსანი	12:00	
6	ნინო მშვიდობაძე	12:00	
7	დარეჯან ბურჭულაძე	12:00	